განმარტებითი ბარათი
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლების შემთხვევის გამარტივებული შესყიდვების საფუძვლად არსებობა. სახელდობრ, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება, სატენდერო პროცედურების გარეშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალება, კომპიუტერული ტექნიკა ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარი ჩაანაცვლოს ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით, მაშინ, როდესაც: **ა)** „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით გაცხადდა ახალი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ავტოპარკი უნდა ჩანაცვლდეს სატენდერო პროცედურების გამოყენებით; **ბ)** სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები/ლეპტოპები შეისყიდება საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით; **გ)** ელექტროდანადგარის ჩანაცვლებას არ აქვს პრაქტიკული გამოყენება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლების შემთხვევის გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებიდან ამოღება, რის შემდეგაც ხსენებული ობიექტები შესყიდულ იქნება მხოლოდ სატენდერო პროცედურების მეშვეობით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლება აღარ იქნება გამარტივებული შესყიდვის საფუძველი. შესაბამისად, ხსენებული ობიექტები შესყიდულ იქნება სატენდერო პროცედურების მეშვეობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შემდეგ, სატენდერო პროცედურების გამოყენების გამო, დაიზოგება ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერული ტექნიკისა და ელექტროდანადგარის შესყიდვისთვის განკუთვნილი სახსრები.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შემდეგ, სატენდერო პროცედურების გამოყენების გამო, დაიზოგება ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერული ტექნიკისა და ელექტროდანადგარის შესყიდვისთვის განკუთვნილი სახსრები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს (პრინციპს).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საჯარო შესყიდვების სფეროში არსებულ ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ აისახება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია სხვა პირს ან ორგანოს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

ასეთი შეფასება არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი – ზაქარია ქუცნაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - ზაქარია ქუცნაშვილი.